ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03-06/35

ქ. ბათუმი 1 ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თეა დავითაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გიორგი" (ს/კ 445544108) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მურთაზ კორძაძის სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი/მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ" (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ ჩამოსაკიდებელი კავების თავისი აქსესუარებით მიწოდების უზრუნველყოფა (შემდგომში საქონელი/მომსახურება) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (CVP კოდ: 30100000;)

2.2. საქონლის/მომსახურების ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით, ფორმა N3-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი და 00 თეთრი

3.2.ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურებასთან მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. ანგარიშსწორებისათვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს არასაბიუჯეტო შემოსავლების ბიუჯეტი.

4.5. ანგარიშსწორებისათვის საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

....

შემსყიდველი მიმწოდებელი

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ამათანადოდ უფლებამოსილი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი-ავთანდილ გეგეშიძე.

5.2. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ ფაქტურის დადასტურების ან/და ზედდებულის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის/მომსახურების რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ.N125

6.2. საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხართა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა და სხვა პირობები

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

_____
შემსყიდველი

_____
მიმწოდებელი

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.
10.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა	შპს „გიორგი“
ს/კ: 245428942	ს/კ: 445544108
მის: ქ.ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N125	მის: ბათუმი, ერისთავის ჩიხი N18
ანგ.№ GE97LB0121115092052000	ანგ. № GE87TB 7736736080100008
სს „ლიბერთი ბანკი“	ს.ს. „თი ბი სი“ ბანკი
ბანკი კოდი: LBRTGE22	ბანკი კოდი: TBCBGE22
დირექტორი: თეა დავითაძე	უფროსი: მურთაზ კორძაძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ
ფორმა N3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

N	საქონლის დასახელება	CPV-კოდები	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	ზამოსაკიდებელი კავები აქსესიუარით	30100000	600	2.50	1500.00
	ჯამი:				1500.00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ბათუმი 1.11.2018წ.

'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლის დირექტორი, თეა დავითაძე და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ავთანდილ გეგეშიძე, შემდგომში მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე და ბაზრის კვლევის განმახორციელებელი პირი, ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩამოსაკიდებელი კაკების შესყიდვის მიზნით, ბაზრის კვლევის შედეგად შერჩეულ მიმწოდებელთან, შპს „გიორგი" (ს/კ 445544108) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მურთაზ კორძაძის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში და გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლის დირექტორი:

თეა დავითაძე

ბაზრის კვლევის განმახორციელებელი და მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი:

ავთანდილ გეგეშიძე

მიმწოდებელი:

შპს „გიორგი" (ს/კ 445544108)

წარმოდგენილი

მურთაზ კორძაძის სახით,

შემსყიდველი

მიმწოდებელი